

## ფსიქიკური ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის ცენტრი

ანა თევდორაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, არქიტექტურის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე რამიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა თევდორაშვილი

26/06/2020

## აბსტრაქტი

თანამედროვე ცხოვრების სტილმა, ტემპმა, შესაძლებლობების სიმრავლემ, პრობლემებმა, ადამიანის გონების განვითარებასთან ერთად, გააღვიძა და გაამრავლა ფსიქოლოგიური დაავადებები. დღესდღეისობით ადამიანისთვის მნიშვნელოვანი გახდა იზრუნოს საკუთარ გონებრივ ჯანმრთელობაზე. თუმცა, მსოფლიოში არსებული ბევრი ის კლინიკა თუ დაწესებულება, რომელიც ემსახურება ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, აგებულია საავადმყოფოს სტილში. მათ არქიტექტურულ პროექტებში არ არის გათვალისწინებული ადამიანის ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები და საჭიროებები. შესაბამისად, საჭირო გახდა, შეიქმნას ფსიქიკური ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის ცენტრი, რომელიც მორგებული იქნება ადამიანის, როგორც ორგანიზმის, ასევე გონების მოთხოვნილებებზე. აქედან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ადამიანის საჭიროებები და სურვილები გარემოსთან მიმართებაში, სადაც ის ზემოთაღნიშნულ კონსულტაციასა და მკურნალობას მიიღებს.

მოცემული კვლევის ფარგლებში დამუშავდა ლიტერატურული ნაშრომები, რომლებშიც აღწერილია კავშირი არქიტექტურასა და ადამიანის ფსიქოლოგიას შორის, განხილულია თუ რა როლი აკისრიათ ერთმანეთთან მიმართებაში. ასევე, ჩამოყალიბებულია პროექტირების პროცესები ზემოთაღნიშნული მიზნების მისაღწევად, ნაჩვენებია მსგავსი ტიპის დაწესებულებები. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვასთან ერთად, კვლევაში წარმოდგენილია სამი არსებული კლინიკა/ცენტრი, რომელიც დაპროექტებული და აშენებულია ადამიანის ფსიქოლოგიური მოთხოვნილებებისა და საჭიროების გათვალისწინებით. კვლევის ძირითადი ნაწილი ეთმობა ზემოთაღნიშნული ინფორმაციის და ინტერვიუების შეჯამებას. ინტერვიუს რესპოდენტები არიან ფსიქიატრი და კლინიკური ფსიქოლოგი, რომლებიც საუბრობენ თუ რა ტიპის გარემოა საჭირო მსგავსი პრობლემების მქონე პაციენტებისათვის.

ნაშრომის შედეგებში წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურის, არსებული პროექტებისა და რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედეგების შეჯამება. შეჯამების თანახმად, ადამიანის ფსიქოლოგიისთვის საჭირო გარემოს შესაქმნელად იკვეთება რამდენიმე ასპექტი, ისეთები, როგორებიცაა: განათება, სივრცეები, ფერი და დეტალები, რიტმი და ფორმა, ბუნება, აქტივობები.

კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნაში, რომელიც გულისხმობს ცენტრის პროექტში ყველა ზემოთაღნიშნული ასპექტის გამოყენებას საჭიროებისამებრ, ასახულია და განხილულია დეტალურად მათი მნიშვნელობები და საჭიროება. დასკვნაში მოცემული ინფორმაცია საკმარისია არქიტექტორებისთვის, რათა შექმნან ფსიქიკური ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის ცენტრი, რომელიც მორგებული იქნება ადამიანის ფსიქოლოგიურ საჭიროებებსა და მოთხოვნებებზე.

**საკვანძო სიტყვები:** არქიტექტურული პროექტი, ცენტრი, ადამიანის ფსიქოლოგია, გარემო, ჯანმრთელობა.